პროგრამის სახელწოდება: სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა Public Policy and Administration

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის მაგისტრი Master of Arts in Public Policy and Administration

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS

პროგრამის ხელმძღვანელი: ალექსანდრე კუხიანიძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და აღწერა:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის მიზანია საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სფეროში მომავალი აკადემიური პერსონალის, პროფესიონალი პრაქტიკოსებისა და პრაქტიკოს-ანალიტიკოსების მომზადება. სამაგისტრო პროგრამა საჯარო მმართველობაში ისეა აგებული, რომ მაქსიმალურად სრულყოფილი საფუძველი მისცეს მომავალ მაგისტრს საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის ინტერდისციპლინარულ ხასიათზე, მის კავშირზე სხვა სოციალურ მეცნიერებებთან, რაც მიიღწევა პოლიტიკური, ეკონომიკური და მენეჯერული მიდგომების კომბინირებითა და სასპეციალიზაციო არჩევითი მოდულების შეთავაზებით საჯარო მმართველობის სამ სფეროში.

სამაგისტრო პროგრამა საჯარო მმართველობაში ისეა აგებული, რომ მაქსიმალურად სრულყოფილი საფუძველი მისცეს მომავალ მაგისტრს საჯარო მმართველობის კვლევის მეთოდებში, თეორიებსა და სუბ-დისციპლინებში, რათა ამ გზით მოამზადოს ისინი ერთი მხრივ, პრაქტიკული საქმიანობის, მეორე მხრივ კი, სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გასაგრძელებლად.

სამაგისტრო პროგრამა ამზადებს სპეციალისტებს, რომელთაც შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესში და საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე შექმნან სახელმწიფო მართვისა და საჯარო პოლიტიკის დარგში მნიშვნელოვანი წინსვლისა და რეფორმირების პროცესის დაჩქარების, ეფექტური და ეფექტიანი განხორციელების შესაძლებლობები; სტუდენტები იღებენ სათანადო თეორიულ მომზადებას საჯარო მმართველობასა და საჯარო პოლიტიკაში; იღრმავებენ კრიტიკული აზროვნების უნარებს; კარგად იცნობენ საჯარო მმართველობის სპეციფიკასა და მახასიათებლებს; იცნობენ შესაბამისი პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტებს; პროგრამა სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიფართოოს თეორიული თვალსაწიერი, განავითაროს და დახვეწოს საჯარო მმართველობის საკითხების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები; პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს პოლიტიკაში პროფესიული კარიერის შესაქმნელად საჭირო ცოდნითა და ხერხებით.

ამავდროულად, სამაგისტრო პროგრამა იძლევა ათვისებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საუკეთესო საშუალებებს და ქმნის კვლევის წარმოების თვალსაზრისით საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის სფეროში ახალი ცოდნისა და მტკიცებულებების წარმოების შესაძლებლობებს დაცული სამაგისტრო ნაშრომებისა და სხვა ანალიტიკური პროდუქციის მეშვეობით, რომელიც იწარმოება პროგრამის

განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კოორდინირებული მუშაობის შედეგად (სტუდენტები ჩართული იქნებიან კონკრეტულ კვლევით პროექტებში, რომელიც პროგრამასთან ასოცირებული პროფესორებისა და მოწვეული პედაგოგების მიერ ხორციელდება).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დადასტურება (გამოცდა ან შესაბამისი სერტიფიკატი);
- გამოცდა საჯარო მმართველობასა და საჯარო პოლიტიკაში (საგამოცდო საკითხები იხილეთ დანართში N 2.3.);
- გასაუბრება.

სწავლის შედეგი:

ცოდნა-გაცნობიერება	აქვს საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის კონტექსტის, თეორიისა და პრაქტიკის შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა; შეუძლია ახსნას საჯარო, კერძო და მესამე სექტორს შორის ურთიერთობა; აქვს საჯარო მმართველობის ინტერდისციპლინარული გაგება. აქვს სისტემური ცოდნა როგორც ზოგადად საჯარო მმართველობის, საჯარო პოლიტიკისა და სახელმწიფო მართვისა და ადმინისტრირების, ისე მის მიერ არჩეული სპეციალიზაციის (სოციალური პოლიტიკა; ქალაქ-დაეგმარება და მიწათსარგებლობის პოლიტიკა: საგარეო პოლიტიკა;) ფარგლებში არსებული თეორიების, უახლესი მიგნებების, სამეცნიერო დისკუსიების თემატიკის და დისკუსიებში ჩართულ მხარეთა არგუმენტების კვლევების შესახებ, აქვს კვლევის მეთოდოლოგიის და მეთოდიკის სიღრმისეული, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	პროგრამის ინტერდისციპლინარული ხასიათი და საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის საკითხების დარგობრივი სფეროების მიხედვით განხილვა მიღებული ცოდნისა და ათვისებული უნარ-ჩვევების მულტიდისციპლინარულ კონტექსტში გამოყენების საშუალებას ანიჭებს. აქვს პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ხედვა, პოლიტიკის ანალიზის წარმოებისა და ქსელური ანალიზის უნარ-ჩვევები მას საშუალებას აძლევს გამოიყენოს ეს ცოდნა და უნარები როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში მუშაობის პროცესში და საზოგადოებრივი პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მომავალში.

დასკვნის უნარი	აქვს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე საჯარო მმართველობის პრობლემატური საკითხების გარშემო დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლია ინფორმაციის სინთეზირება და მათ საფუძველზე დასკვნების შემოთავაზება. საკითხების განხილვა ინტერდისციპლინარული პერსპექტივით, მკაფიოდ არგუმენტირებული და მონაცემებზე დაყრდნობილი დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს.
კომუნიკაციის უნარი	იცნობს და თავისუფლად იყენებს სოციალურ მეცნიერებებში ფართოდ აპრობირებულ მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის სტატისტიკურ პროგრამებს (SPSS, STATA); აქვს კვლევის შედეგების წერითი და ვერბალური პრეზენტაციის უნარ-ჩვევები. არის ინგლისური ენის B2 დონეზე მცოდნე და ფლობს საჯარო მმართველობის ცნებით-კატეგორიულ აპარატს ინგლისურ ენაზე. ცოდნის გამდიდრება, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა, სემესტრული ნაშრომების პრეზენტაციის პრაქტიკა სტუდენტს უყალიბებს საკუთარი ცოდნისა და გაწეული მუშაობის შედეგების დასაბუთებული წარმოჩენის, სამეცნიერო დისკუსიაში მონაწილეობის უნარს.
სწავლის უნარი	აქვს უნარი თავად დაგეგმოს და განახორციელოს სიცოცხლის მანძილზე სწავლა როგორც საჯარო მმართველობის, ისე მის მიერ არჩეულ სფეროში, ადეკვატურად აფასებს საკუთარ სსწავლის პროცესს და ესმის, როგორ გააუმჯობესოს მიღებული შედეგი. აქვს უნარი მომავალში დამოუკიდებლად ან მინიმალური ხელმძღვანელობის ქვეშ განახორციელოს კვლევითი პროცესი, ფლობს კვლევითი პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელ ადექვატურ ინდივიდუალურ რესურსსა და კომპეტენციას და აქვს მათი გაუმჯობესების უნარი. აქვს საჯარო მმართველობის სფეროში გამოქვეყნებული უახლესი ლიტერატურის ათვისების, სწავლისა და კვლევის პროცესში მისი მუდმივი გამოყენებისათვის მზაობა.
ღირებულებები	მაგისტრს აქვს საჯარო მმართველობის სფეროს პრაქტიკული გაუმჯობესების ღირებულებითი აღქმა და შეუძლია ჩაერთოს დემოკრატიული მართვის განხორციელებასა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში პრაქტიკული თუ კვლევითი საქმიანობის საფუძველზე. როგორც საჯარო მოხელეს, შეუძლია ამ ღირებულებების მეშვეობით მოქალაქეთა ჩართულობაზე ორიენტირებული მმართველობისათვის ხელშეწყობა.

შედეგების რუქა: იხ.დანართი

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. ვერბალური/წერითი;
2. წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე მუშაობა;
3. დემონსტრირების მეთოდი (ვიდეო-აუდიო, ფოტო, PPP მასალების მეშვეობით);
4. ახსნა–განმარტებითი;
5. დისკუსია/დებატები;
6. ჯგუფური მუშაობა;
7. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
8. შემთხვევის ანალიზი (case-study);
9. გონებრივი იერიში (Brain storming);
10. როლური და სიტუაციური თამაშები;
11. ელექტრონული სწავლება (ჰიბრიდული) - თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სასწავლო გეგმა: იხ.დანართი

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა შედგება:

1. პროგრამის სავალდებულო კურსებისგან;

2. პროგრამის არჩევითი კურსებისგან;
3. სასპეციალიზაციო მუდულისგან, რომლის ფარგლებშიც შემოთავაზებულია 3 არჩევითი მოდული
- სოციალური პოლიტიკა;
- ქალაქდაგეგმარება და მიწათსარგებლობის პოლიტიკა;
- საგარეო პოლიტიკა.

სტუდენტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მესამე სამესტრში წყვეტს შემოთავაზებული სასპეცალიზაციო მოდულებიდან ერთ-ერთს და მასში სპეციალიზირდება. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა ასევე ითვალისწინებს პრაქტიკას სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სამაგისტრო ნაშრომის დაცვას.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის კრედიტები:

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაში 120 კრედიტი გადანაწილებულია შემდეგნაირად:

პროგრამის სავალდებულო კურსები (მათ შორის პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი)	70 კრედიტი
არჩევითი კურსები *(პროგრამის არჩევითი კურსები, არჩევითი სასპეციალიზაციო მოდულების ფარგლებში შეთავაზებული კურსები ან სხვა სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსები(თავისუფალი 10-20 კრედიტი))*	მინიმუმ 30, მაქსიმუმ 50 კრედიტი
თავისუფალი კურსები	10-დან 20 კრედიტამდე
სულ	120 კრედიტი

დასაქმების სფეროები: სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების პოტენციური სფერო შეიძლება იყოს:
- კვლევითი ორგანიზაციები;
- საჯარო დაწესებულებები;
- არასამთავრობო სექტორი;
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- კერძო სექტორი;
- მასმედია.

დამატებითი ინფორმაცია:

ინფორმაცია მისაღები კონტიგენტის შესახებ: პროგრამას შეუძლია 20 სტუდენტის მომსახურება.

სწავლის გაგრძელების საშუალება: სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:
გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო მმართველობისა და საჯარო პოლიტიკის სფეროში დღეს აკადემიური კადრების სიმწირეს განვიცდით, პროგრამაში ეს ნაკლოვანება კომპენსირდება მოწვეული აკადემიური კადრებით, რომლებიც წარმოადგენენ დასავლეთში საჯარო მმართველობის სფეროში ხარისხის (სამაგისტრო) მქონე პირებს ან საჯარო მმართველობის სფეროში მოღვაწე გამოცდილ პროფესიონალებს.

	გვარი, სახელი,	**აკადემიური თანამდებობა**	**ხარისხი**
პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი			
	მაცაბერიძე მალხაზ	პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
	თურმანიძე კობა	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის დირექტორი
	კუხიანიძე ალექსანდრე	პროფესორი	ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
	დუნდუა სალომე	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
	აბაშიძე ზვიად	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
	ქარაია თამარ	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაციის დირექტორი.
თსუ-ს აკადემიური პერსონალი			
	თამარ გვარამაძე	ასოცირებული პროფესორი	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება
	მიხეილ თოქმაზიშვილი	ასოცირებული პროფესორი	ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.
დოქტორანტურის სტუდენტები (სასწავლო პრაქტიკა)			
	ნოზაძე თორნიკე	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	ვლადიმერ ნაფეტვარიძე	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	ლევან ხუციშვილი	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

	მარიანა ქევხიშვილი	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
	არჩილ სიხარულიძე	სასწავლო პრაქტიკა	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
მოწვეული პერსონალი			
	ალექსანდრე სვანიშვილი	მოწვეული პერსონალი	ადვოკატი, ექსპერტი ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში, გაეროს განვითარების პროგრამის ექპერტი.
	ნინო ფავლენიშვილი	მოწვეული პერსონალი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
	არჩილ სიხარულიძე	მოწვეული პერსონალი	„გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა კავკასიაში" პროგრამის მრჩეველი
	მაკა სიჭინავა	მოწვეული პერსონალი	თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მკვლევარი
	ხუნწარია თამარ	მოწვეული პერსონალი	საჯარო მმართველობის მაგისტრი, საერთაშორისო ურთიერთობათა დოქტორი, აკადემიური მხარდაჭერის პროგრამის მკვლევარი
	ნინო კოპალეიშვილი	მოწვეული პერსონალი	განათლების მეცნიერების მაგისტრი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
მოწვეული პროფესორები			
	სტივენ ჰარისი	მოწვეული პერსონალი	PhD in Public Administration Adjunct Research Professor School of Public Policy and Administration Carleton University
	მაჭარაშვილი ნანა	მოწვეული პერსონალი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, თსუ ინტერდისციპლინური პროგრამებისა და კვლევების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

- თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- უნივერსიტეტის რესურს-ცენტრები და აუდიტორიები;
- თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი;

- ელექტრონული ჟურნალები და ბაზები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ქსელიდან ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული რესურსები: Elsevier, JSTOR, EBSCOHost, Springer, HINARI, Cambridge University Journals, GALLICA, Érudit, ALUKA, Internet Archive, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა);
- უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა;
- სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი;
- ამერიკის პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის მიერ გადმოცემული 1500 დასახელების წიგნი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დანართი № 2.2

სასწავლო გეგმა

უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
მიმართულება: პოლიტიკის მეცნიერება
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა
სწავლების საფეხური: მაგისტრატურა
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №38/2012, დანართი 64

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): №261; 26/07/2012 – 31/12/2024 https://eqe.ge/ka/decisions/3626/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №38/2012-28 მაისი, 2012-ით, „საჯარო მმართველობა“ ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა; №30/2013 -18 თებერვალი, 2013; №22/2015 - 9 თებერვალი, 2015; №38/2015 - 9 მარტი, 2015; № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; №91/2018 - 19 მარტი, 2018; № 61/2022 – 26/07/2022; №95/2022 – 07/10/2022; №24/2023 - 20/03/2023; №14/2024-07/02/2024.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა												
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი გამოცდები			I	II	III	IV	
სპეციალობის სავალდებულო კურსები - 70 კრედიტი (ECTS)												
1	საჯარო ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა	10	15	15	5	215	წინაპირობების გარეშე	X				ნანა მაჭარაშვილი
2	სახელმწიფო მართვის მიკრო და მაკროეკონომიკური პრინციპები	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე	X				მიხეილ თოქმაზიშვილი
3	რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები	5	15	15	4	91	წინაპირობების გარეშე	X				ნინო ფავლენიშვილი კობა თურმანიძე
4	საჯარო პოლიტიკის ანალიზი	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე	X				გიორგი მელიქიძე თამთა ჭრიკიშვილი
5	თვისებრივი კვლევის მეთოდები	5	15	30	6	74	წინაპირობების გარეშე		X			თამარ ქარაია
6	პოლიტიკური ინტერესების არტიკულაცია და აგრეგაცია	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე		X			ზვიად აბაშიძე ნიკა გიგაური
7	სამაგისტრო კვლევის დიზაინი	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე			X		ნანა მაჭარაშვილი თამარ ქარაია

8	პრაქტიკა	5	-	60	5	60	წინაპირობების გარეშე			X	X	
9	სამაგისტრო ნაშრომი	30	60			690	მინიმუმ 80 კრედიტი[1] (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი)				X	სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
სპეციალობის არჩევითი/სასპეციალიზაციო კურსები - მინიმუმ 30 კრედიტი (ECTS) მაქსიმუმ 50 კრედიტი (ECTS)												
10	პოლიტიკა და საჯარო პოლიტიკური პროცესი	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე		X			ნანა მაჭარაშვილი ლევან ბატიაშვილი
11	პოლიტიკის მეცნიერება: ახალი მიმართულებები და პერსპექტივები *(პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	30	7	73	წინაპირობების გარეშე		X			მალხაზ მაცაბერიძე სალომე დუნდუა ზვიად აბაშიძე გიორგი მელიქიძე
12	ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესი საქართველოში *(პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	30	7	73	წინაპირობების გარეშე		X			მალხაზ მაცაბერიძე გიორგი მელიქიძე ლიკა თეთრაძე მიხეილ შავთვალაძე
13	საჯარო პოლიტიკისა და პროგრამის შეფასება	5	15	15	4	91	წინაპირობების გარეშე		X			კობა თურმანიძე ნოდარ ტანგიაშვილი
14	ეთიკა, ადმინისტრაციული კორუფცია და სახელმწიფო მართვა	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე		X			ალექსანდრე კუხიანიძე არჩილ სიხარულიძე
15	საზოგადოება, სახელმწიფო და იდეოლოგიები *(პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე		X			სალომე დუნდუა
16	საჯარო მენეჯმენტი	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე		X			ნანა მაჭარაშვილი
17	ლიდერობა საჯარო	5	15	15	5	90	წინაპირობების			X		ნოდარ ხერხეულიძე

[1] **გათვალისწინებულია დამამთავრებელ სემესტრში 40 კრედიტის აღების შესაძლებლობა**
(სტუდენტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომთან ერთად აიღოს ორი 5 კრედიტიანი ან ერთი 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი)

	ადმინისტრირებაში						გარეშე					
18	ადამიანური რესურსების მართვა და საჯარო მმართველობა	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე			X		ფიქრია ვარდოსანიძე
19	საგანგებო სიტუაციების მართვა	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე			X		ალექსანდრე კუხიანიძე
20	აღმოსავლეთ ევროპის განვითარება	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე		X			ნანა მაჭარაშვილი
21	ადმინისტრაციული სამართალი	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე		X			თამარ გვარამაძე კახაბერ ურიადმყოფელი
22	სახელმწიფო მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა *(პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	30	7	73	წინაპირობების გარეშე	X				ზვიად აბაშიძე ალექსანდრე სვანიშვილი
23	დეცენტრალიზაცია და მოქალაქეთა მონაწილეობა	5	15	15	6	89	წინაპირობების გარეშე		X			არჩილ ჟორჟოლიანი
24	სამთავრობოთაშორისო ფისკალური ურთიერთობები და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება	5	15	15	4	91	წინაპირობების გარეშე		X			მაკა ჭითანავა ელგუჯა ხოკრიშვილი
25	მიწის პოლიტიკა და სივრცითი დაგეგმარება *(სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	30	15	4	76	წინაპირობების გარეშე			X		იოსებ სალუქვაძე
26	განვითარების გეოგრაფია *(სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	30	15	5	75	წინაპირობების გარეშე	X				ვალერიან მელიქიძე
27	გეოგრაფიული ინფორმაციული ტექნოლოგიები სოციალურ და პოლიტიკურ კვლევებში 1 *(სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სამაგისტრო*	5	30	30	5	60	წინაპირობების გარეშე	X				ვლადიმერ ჩხაიძე

	პროგრამიდან)											
28	ევროკავშირის ინსტიტუტები და მმართველობა (ინგლისურენოვანი კურსი) *(დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე			X		სერგი კაპანაძე თათია დოლიძე
29	დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა *(დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	6	89	წინაპირობების გარეშე			X		ფიქრია ასანიშვილი
30	საგარეო პოლიტიკის ანალიზი *(დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე			X		დავით მაცაბერიძე გიორგი მჭედლიშვილი
31	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ევროპეიზაცია	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე			X		ნანა მაჭარაშვილი
32	გლობალური პოლიტიკა და საერთაშორისო ორგანიზაციები	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე			X		ნინო კოპალეიშვილი
33	სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა: სოციალური მუშაობის პერსპექტივა *(სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	4	91	წინაპირობების გარეშე			X		ნინო შატბერაშვილი
34	სოციალური ადვოკატობა *(სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	4	91	წინაპირობების გარეშე	X				ნინო შატბერაშვილი
35	მშვიდობის პოლიტიკის ანალიზი	5	15	15	4	91	წინაპირობების გარეშე		X			ნათია ჭანკვეტაძე ქეთევან მურუსიძე
36	გლობალური მმართველობა	5	15	15	4	91	წინაპირობების გარეშე		X			ნინო კერესელიძე
37	შედარებითი საჯარო პოლიტიკა	5	15	15	7	73	წინაპირობების გარეშე		X			სალომე დუნდუა სანდრო ტაბატაძე
38	თავდაცვის პოლიტიკა	5	15	15	4	91	წინაპირობების გარეშე			X		ეკატერინე გახოკიძე

39	სპორტის მენეჯმენტი და სახელმწიფო პოლიტიკა	5	15	15	5	90	საჯარო პოლიტიკის ანალიზი			X		ნიკოლოზ ტაბატაძე
40	შრომისა და სოციალური დაცვის პოლიტიკა	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე		X			ჯაბა ურუტაძე
41	ელექტრონული მმართველობა და საჯარო პოლიტიკა	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე		X			ვლადიმერ ნაფეტვარიძე
42	გარემოსდაცვითი პოლიტიკა და მართვა	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე		X			გვანცა სივსივაძე
43	კულურული მემკვიდრეობის ძეგლების და არეალების მართვა	5	15	15	5	90	წინაპირობების გარეშე		X			თამარ ამაშუკელი
თავისუფალი კურსები/მოდულები - 10-დან 20 კრედიტამდე (ECTS) (სტუდენტს შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე სამაგისტრო საფეხურის ნებისმიერი კურსის გავლა 10-დან 20 კრედიტამდე მოცულობით)												
სულ 120 კრედიტი												

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი